

შპს “გასგო მოტორსი”
საიდენტიფიკაციო კოდი: 438 107 237
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „გასგო მოტორსის“ (შემდგომში “კომპანია”) ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ❖ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ❖ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ❖ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს სტანდარტის მიხედვით, არის თუ არა წარმოდგენილი და ახსნილი მსს ფასს სტანდარტიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი გადახრები;
- ❖ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არ არის ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ❖ კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ❖ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნებს;
- ❖ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ❖ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე და თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 29 სექტემბერს.



Stamp & Sgin



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები		897,948	1,240,305
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	97,180	77,096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	150,350	202,027
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		650,418	961,182
მარაგები		7,508,735	4,997,014
-მზა პროდუქცია	6	7,508,735	4,997,014
-სხვა	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	5	184,993	185,141
ძირითადი საშუალებები	5	2,467,594	1,376,805
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	15	-	35,000
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნები	15	1,197,058	785,505
საგადასახადო აქტივი	10	-	-
სულ აქტივები		12,256,328	8,619,770
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	2,062,543	1,031,759
მიღებული ავანსები	-	12,339	16,624
ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	10	67,232	38,740
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11	1,850,407	890,103
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11	579,077	1,042,649
სულ ვალდებულებები		4,571,598	3,019,875
მფლობელთა საკუთარი კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	-	195	184,948
გაუნაწილებელი მოგება	-	7,684,535	5,414,947
სულ მფლობელთა საკუთარი კაპიტალი		7,684,730	5,599,895
სულ მფლობელთა საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12,256,328	8,619,770

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.

დირექტორი : კახა სამბელაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები		897,948	1,240,305
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	97,180	77,096
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	150,350	202,027
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		650,418	961,182
პატივები		7,508,735	4,997,014
-მზა პროდუქცია	6	7,508,735	4,997,014
-სხვა	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	5	184,993	185,141
ძირითადი საშუალებები	5	2,467,594	1,376,805
მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნები	15	-	35,000
გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნები	15	1,197,058	785,505
საგადასახადო აქტივი	10	-	-
სულ აქტივები		12,256,328	8,619,770
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	2,062,543	1,031,759
მიღებული ავანსები	-	12,339	16,624
ვალდებულებები დასაქმებულთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	10	67,232	38,740
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	11	1,850,407	890,103
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11	579,077	1,042,649
სულ ვალდებულებები		4,571,598	3,019,875
მფლობელთა საკუთარი კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	-	195	184,948
გაუნაწილებელი მოგება	-	7,684,535	5,414,947
სულ მფლობელთა საკუთარი კაპიტალი		7,684,730	5,599,895
სულ მფლობელთა საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12,256,328	8,619,770

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 29 სექტემბერს.


Stamp & Sgin



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021	2020
ნეტო ამონაგები		14,474,951	11,108,716
საქონლის გაყიდვიდან	-	14,183,570	10,968,284
მომსახურების გაწვიდან	-	291,381	140,432
გაყიდვების თვითღირებულება (ჩამოწერილი მარაგი)	-	(10,796,805)	(8,529,024)
მომსახურების თვითღირებულება	12	(234,532)	(162,376)
საერთო მოგება:		3,443,614	2,417,316
დასაქმებულთა ანაზღაურება	-	(697,955)	(548,311)
ცვეთა და ამორტიზაცია	-	(94,128)	(88,597)
საპროცენტო შემოსავალი	-	119,915	45,855
საპროცენტო ხარჯი	-	(144,433)	(118,118)
იჯარის ხარჯი	-	(30,145)	(28,933)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(378,879)	(320,435)
სულ საოპერაციო ხარჯი		(1,225,625)	(1,058,539)
საოპერაციო მოგება		2,217,989	1,358,777
გაუფასურების (ზარალი)/რევერსირება:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ზარალი) / რევერსირება	-	-	-
მარაგების გაუფასურების (ზარალი)/ რევერსირება	-	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ზარალი)/ რევერსირება	-	-	-
წმინდა შემოსულობა/ (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	-	223,664	(304,355)
მიღებული დივიდენდები	-	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-	46,689	53,145
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახდი ხარჯამდე		2,488,342	1,107,567
მოგების გადასახადი		(134)	(79)
მოგება/(ზარალი)		2,488,208	1,107,488

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
31.12.2019		268,160	4,326,331	4,594,491
წმინდა მოგება		-	1,107,488	1,107,488
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
კაპიტალის შემცირება		(83,212)		(83,212)
დივიდენდი	-	-	(18,872)	(18,872)
31.12.2020		184,948	5,414,947	5,599,895
წმინდა მოგება		-	2,488,208	2,488,208
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-
კაპიტალის შემცირება		(184,753)		(184,753)
დივიდენდი	-	-	(218,620)	(218,620)
31.12.2021		195	7,684,535	7,684,730

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2021	2020
მოგება დაბეგვრამდე	2,488,342	1,107,488
<i>დასაბეგრი მოგების კორექტირება წმინდა ფულად ნაკადებამდე</i>		
ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა	94,128	88,597
წმინდა შედეგი საკუროს სხვაობიდან	118,510	305,722
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	144,433	118,118
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	2,845,413	1,619,925
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, მათ შორის გადახდილი ავანსების ცვლილება	362,441	(687,083)
მარაგების ცვლილება	(2,511,721)	400,798
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი, მათ შორის საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	1,054,992	135,928
სულ ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	1,751,125	1,469,568
გადახდილი საპროცენტო ხარჯები	(144,433)	(270,519)
საპროცენტო შემოსავლები	(119,915)	(45,855)
მიღებული პროცენტი	1,539	5,729
გადახდილი მოგების გადასახადი	(134)	(79)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(262,943)	(310,724)
	1,488,182	1,158,844
ძირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(1,184,768)	(275,446)
სულ ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის	(1,184,768)	(275,446)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(218,754)	(18,872)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(184,753)	(83,212)
სასესხო ვალდებულებების ცვლილებები	496,731	(662,105)
გაცემული სესხის წმინდა ცვლილება	(376,554)	(820,504)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(283,330)	(1,584,693)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების ზრდა	20,084	(701,295)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	77,096	778,391
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	97,180	77,096

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 03 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში. კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საგარეჯოს რაიონი, სოფ. ყანდაურა, ხოლო მისი ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორი, შანდორ პეტეფის N 20. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 438 107 237.

2021 წლის 31 დეკემბრის (2020 წლის 31 დეკემბრის) მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული დამფუძნებელი (100 %-ნი წილის მფლობელი) კახა სამბელაშვილი (პ/ნ 36001033612).

კომპანიის დირექტორები არიან კახა სამბელაშვილი და ზურაბი სამბელაშვილი.

(ა) კომპანიის ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საბითუმო და საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით. საქართველოს მასშტაბით კომპანია ფლობს ერთ სასაწყობე ობიექტს და ორ ცალკე მდგომ სავაჭრო ობიექტს.

(ბ) კომპანიის სამუშაო გარემო: კომპანია ბიზნეს საქმიანობას აწარმოებს ადგილობრივ ბაზარზე, ასევე აქვს ექსპორტიც. კომპანიის ძირითად მსხვილ კლიენტებს წარმოადგენენ სხვადასხვა საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან/მომსახურებიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	13-დან 51 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 12 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
სატრანსპორტო-საშუალებები	5-დან 10 წლამდე

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 10 წლის გაანგარიშებით.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება „წმინდა შემოსულობა/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან“ მუხლში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის დასაქმებულების მიერ.

ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოშვების შემდეგ მოითხოვს მის დამტკიცებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, რომლის მიერაც მოხდა გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზება.

3. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) პირველადი ადაპტაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის მეოთხე ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შეესაბამება მსს ფასს სტანდარტს. კომპანიის მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

წინა მომზადების საფუძველით კომპანიას არ ევალებოდა და არ ახდენდა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების შედგენას და გამოქვეყნებას.

4. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად

ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. კომპანიას არ აქვს უიმედო დებიტორული დავალიანების რეზერვი.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

5. ძირითადი საშუალებები

თანხები მოცემულია 1000 ლარში თუ
სხვაგვარად არ არის განმარტებული

	მიწა	შენიშვნები/ დაუმთავ რებელი მშ.	ოფისის აღჭურვა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	იჯარის კეთილმ ოწყობა	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	779	113	148	15	158	80	1,293
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	206	7	16	1	23	9	262
ჩამოწერა	-	-	(1)	-	-	-	(1)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	985	120	163	16	181	89	1,554
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	1,084	9	1	58	1	1,153
ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	985	1,204	172	17	239	90	2,707

ცვეთა და გაუფასურება							
2019 წლის 31 დეკემბერი	-	(8)	(56)	(7)	(31)	(17)	(119)
ცვეთის ხარჯი	-	(10)	(24)	(2)	(16)	(7)	(59)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	-	(18)	(80)	(9)	(47)	(24)	(178)
ცვეთის ხარჯი	-	(12)	(20)	(2)	(19)	(9)	(62)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	(30)	(100)	(11)	(66)	(33)	(240)
2020 წლის 31 დეკემბერი	985	102	83	7	134	65	1,376
2021 წლის 31 დეკემბერი	985	1,174	72	6	173	57	2,467

კომპანიის საკუთრებაში არსებულ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა Microsoft Dynamics Nav-ს ლიცენზიები.

6. მარაგები, როგორც მზა პროდუქცია

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სასაქონლო მარაგები	7,460,439	4,929,701
საქონელი გზაში ინვოტ.პირობით	-	48,705
სხვა საქონელი	45,613	18,004
საწვავი	2,683	604
სულ მზა პროდუქცია	7,508,735	4,997,014

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	78,007	140,450
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები(არარეზიდენტი)	72,343	61,577
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	150,350	202,027

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	302	66
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	61,628	77,030
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	35,250	-
საერთო ჯამში:	97,180	77,096

9. სავაჭრო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი	1,921,275	938,286
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი	106,726	38,240
სხვა ვალდებულებები	33,980	55,233
მოკლევადიანი ვალდებულება საიჯარო მომსახურებიდან	562	-
სულ ვალდებულებები	2,062,543	1,031,759

10. საგადასახადო აქტივი და ვალდებულება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021-2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადაფარვით.

11. მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
გრძელვადიანი საბანკო სესხის ძირი	579,077	1,042,650
სხვა გრძელვადიანი სესხი	-	-
გრძელვადიანი საბანკო სესხის მიმდინარე ნაწილი	1,850,407	890,102
გადასახდელი პროცენტი	-	-
სულ ნასესხები სახსრები	2,429,484	1,932,752

12. მომსახურების თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
პირდაპირი ხელფასი	(227,332)	(142,099)
მომსახურებისთვის გახარჯული მასალები	-	(13,077)
საიჯარო ხარჯი	(7,200)	(7,200)
სულ მომსახურების თვითღირებულება	(234,532)	(162,376)

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	(148,997)	(90,130)
გადახდის წყაროსთან დასაბეგრი მომსახურებები	(31,090)	(64,325)
ა/მ მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(69,905)	(48,704)
სარეკლამო მომსახურების ხარჯი	(12,997)	(17,581)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი (NAV_2017)	(13,050)	(15,852)
სამივლინებო ხარჯი	-	(180)
ბანკის მომსახურების საკომისიო ხარჯები	(17,609)	(13,194)
საკანცელარიო ხარჯი	(12,482)	(11,036)
კომუნალური გადასახადი	(2,415)	(10,613)
კომუნიკაციის ხარჯები	(11,309)	-
დარიცხული საპენსიო გადასახადი	(14,040)	(10,910)
დაზღვევის ხარჯი	(12,720)	(9,645)
ქონების გადასახადი ხარჯი	(12,045)	(6,588)
ძირითადი საშუალების მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(2,011)	(3,950)
წარმომადგენლობითი ხარჯი	-	(295)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(18,209)	(17,432)
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(378,879)	(320,435)

14. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2021 წლის 31 დეკემბრის (2020 წლის 31 დეკემბრის) მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის დაკავშირებულ მხარეს წარმოადგენს კომპანიის მეწილეები და უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრები.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2020		
	ხარჯი	ნაშთი
მოკლევადიანი სარგებელი:		
ხელფასები	60,000	-
გაცემული სესხი იურიდიულ პირზე	-	820,505
მისაღები პროცენტები	40,127	40,127
31 დეკემბერი 2021		
	ხარჯი / შემოსავალი	ნაშთი
მოკლევადიანი სარგებელი:		
ხელფასები	60,800	60,800
მიღებული სესხი		255,250
გაცემული სესხი იურიდიულ პირზე		1,197,058
მისაღები პროცენტები	118,376	158,503

16. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2022 წლის 29 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.